



გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები: სოციალური ჩართულობის სამუშაო ჯგუფის გაერთიანებული მეორე შეხვედრის ოქმი

შეხვედრის თარიღი: ხუთშაბათი, 31/05/18, 10:00

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო “ბილტმორ თბილისი”

შეხვედრის თემა:

- ეროვნული ინდიკატორების გაუმჯობესება და მიზნების ინტეგრირება პოლიტიკის დოკუმენტებთან;
- მე-2, მე-3, მე-4 მიზნების განხორციელების შეფასება;
- ჯგუფის თანათავმჯდომარე ორგანიზაციების გაცნობა

შეხვედრის მონაწილეები: დანართი 1

გამომსვლელები	პრეზენტაციები	პოზიცია
ანა კვერნაძე	გახსნითი სიტყვა, სამუშაო შეხვედრის შესავალი	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
ნინო ჯანაშია	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ინტეგრაცია ეროვნული საჯარო პოლიტიკის სისტემაში	UNDP-IDFI პროექტის საჯარო პოლიტიკის ექსპერტი
ნინო ფარცხალაძე	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის დოკუმენტის შეფასება	UNDP-IDFI პროექტის მონიტორინგისა და შეფასების (M&E) ექსპერტი
კახა ხანდოლიშვილი	მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება - დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები: მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ნინო ჯანელიძე	მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება - დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

	გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა	
ქეთევან გოგინაშვილი	მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება - დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

განხილული საკითხები დღის წესრიგის მიხედვით:

10:30 - გახსნითი სიტყვა

ანა კვერნაძე, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

შეხვედრა გახსნა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულმა კოორდინატორმა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ანა კვერნაძემ. უპირველესყოვლისა მან დამსწრე დაინტერესებულ მხარეებს მოახსენა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის მეტი მოქნილობისა და ეფექტურობის მიზნით მოცემულ პროცესში განხორციელებული საორგანიზაციო ცვლილებების შესახებ. კერძოდ, სამუშაო ჯგუფის ფორმატები დაიყო ორ ნაწილად - ტექნიკური და ინტეგრირებული სამუშაო ჯგუფები. ტექნიკური სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან საჯარო უწყებების წარმომადგენლები, ხოლო ინტეგრირებული სამუშაო ჯგუფები კი აერთიანებენ ყველა დაინტერესებულ პირს - კერძო და საჯარო სექტორს, ისევე როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებს. საჯარო პოლიტიკისა და მონიტორინგისა და შეფასების (M&E) ექსპერტები აქტიურად მუშაობენ ტექნიკური სამუშაო ჯგუფის წევრებთან და საკუთარი მუშაობის შედეგებს ეტაპობრივად წარუდგენენ ინტეგრირებულ სამუშაო ჯგუფებს. ანა კვერნაძემ ხაზი გაუსვა, რომ მოცემული შეხვედრის მიზანი არის ბოლო 1.5 თვის განმავლობაში სოციალური ინკლუზიის მიმართულებით ექსპერტებისა და ტექნიკური სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგების გაცნობა ინტეგრირებული სამუშაო ჯგუფისთვის.

პრეზენტაციების დაწყებამდე ანა კვერნაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სამუშაო ჯგუფის თავჯდომარეთა არჩევის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, რომლის თანახმადაც სოციალური ინკლუზიის ჯგუფის ფარგლებში თანათავმჯდომარეს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან წამოადგენს UNICEF, საჯარო სექტორიდან - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ხოლო კერძო სექტორიდან კი კოალიცია „განათლება ყველასათვის - საქართველო“. ანა კვერნაძემ ხაზი გაუსვა თანათავმჯდომარეთა ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს და შეახსენა, რომ შემდგომი შეხვედრისთვის მათ უნდა განსაზღვრონ შეხვედრის კონცეფცია და ის მიზნები, რომლებიც შემდგომ შეხვედრებზე იქნება

დეტალური განხილვის საგანი. მან ასევე აღნიშნა, რომ მოცემული შეხვედრის ფარგლებში განიხილება მე-2, მე-3 და მე-4 მიზნების მიღწეული პროგრესი ნაციონალიზაციის პროცესის შემდგომ.

10:40 - გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ინტეგრაცია ეროვნული საჯარო პოლიტიკის სისტემაში

ნინო ჯანაშია, საჯარო პოლიტიკის ექსპერტი

საჯარო პოლიტიკის ექსპერტმა სოციალური ინკლუზიის ინტეგრირებულ სამუშაო ჯგუფს გააცნო არსებული პოლიტიკის დოკუმენტების მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირების კუთხით სამუშაო ჯგუფში მიმდინარე მუშაობის შედეგები. მან თავდაპირველად ისაუბრა მუშაობის პროცესსა და მის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ ე.წ. „mapping“-ის პროცესში მნიშვნელოვანია ჰორიზონტალური და ვერტიკალური კავშირების გამოვლენა არსებულ სტრატეგიებს შორის და პარალელების გავლება თითოეული ინდიკატორის არსებულ სტრატეგიებთან. მან აღნიშნა, რომ ტექნიკურ სამუშაო ჯგუფთან მუშაობის პროცესში გამოვლენილ ხარვეზებზე დარყდნობით შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები და ხაზი გაუსვა თითოეული უწყების წარმომადგენლის უმნიშვნელოვანეს როლს მოცემულ პროცესში. ექსპერტის თქმით ე.წ. „mapping“-ის პროცესი არ არის დასრულებული და მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას, სამინისტროთა წარმომადგენლების პრეზენტაციების მოსმენის შემდგომ განსახილველ კლასტერებთან დაკავშირებით საკუთარი აზრის დაფიქსირებისა და რეკომენდაციების გაზიარებისკენ.

აქვე, ანა კვერნაძემ ხაზი გაუსვა, რომ ექსპერტებისა და ტექნიკურ ჯგუფთა მუშაობის შედეგად გამოიკვეთა ის სფეროები, რომლებშიც მთავრობას არ აქვს შემუშავებული კონკრეტული სტრატეგია თუ სამოქმედო გეგმა, მაგალითად ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროებში. თუმცა აქვე დაამატა, რომ არსებობს რიგი სახელმწიფო პროგრამებისა, რომლებსაც ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულმა კოორდინატორმა აღნიშნა, რომ წლის ბოლოს საქართველოს ეწვევა გაეროს „Mainstreaming, Acceleration and Policy Support“ (MAPS) ჯგუფი, რომელიც შეაფასებს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებზე მუშაობის პროგრესს ქვეყანაში. ანა კვერნაძემ ხაზი გაუსვა მოცემული ეტაპისთვის ქვეყნის მზაობის მნიშვნელობას და კიდევ ერთხელ მოუწოდა დამსწრე პირებს აქტიურობისა და მხარდაჭერისკენ.

10:45 - გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის დოკუმენტის შეფასება

ნინო ფარცხალაძე, მონიტორინგისა და შეფასების (M&E) ექსპერტი

ნინო ფარცხალაძემ დაინტერესებულ პირებს მოახსენა მდგრადი განვითარების ინდიკატორების ნაციონალიზაციის მიზნით ტექნიკურ სამუშაო ჯგუფებთან მუშაობის შედეგები. მან ხაზი გაუსვა, რომ გადახედილ იქნა 100-მდე ინდიკატორი და დასამუშავებელია მხოლოდ მათი მცირე ნაწილი. მუშაობის პროცესში მოხდა ნაციონალური ინდიკატორების მაქსიმალური მიახლოება გლობალურ ინდიკატორებთან, შემუშავდა შესაბამისი ფორმულირებები და გაზომვის მეთოდები. მისი თქმით ინდიკატორთა 1/3 ეყრდნობა სტატისტიკურ მონაცემებს. მონიტორინგისა და შეფასების (M&E)

ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ ჯერ კიდევ შესამუშავებელია ინდიკატორთა ნაწილი სოფლის მეურნეობის სფეროში.

10:50 - მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის

კახა ხანდოლიშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ექსპერტების გამოსვლების შემდგომ დაინტერესებულ მხარეებს განათლების სფეროში გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების კუთხით ბოლო წლებში მიღწეულ პროგრესზე ესაუბრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი კახა ხანდოლიშვილი. მან აღნიშნა, რომ სამინისტროს მიერ მომზადდა და დამტკიცდა ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებსაც, როგორც არის განათლების ხელმისაწვდომობა, ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება, მასწავლებელთა გადამზადება და სკოლათა მაღალი ხარისხის ინტერნეტით უზრუნველყოფა. გამომსვლელმა ხაზი გაუსვა სკოლამდელი განათლების მნიშვნელობას და ისაუბრა სამოქალაქო განათლების როლზე. სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით სამოქალაქო განათლების საგანი გახდება სავალდებულო. მომზადებული და შემუშავებულია შესაბამისი კურიკულუმიც.

11:05 - კითხვა-პასუხი

კოალიცია „განათლება ყველასათვის - საქართველოს“ წარმომადგენელმა - რევაზ აფხაზავამ კომენტარი გააკეთა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის გამოსვლასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ არსებული ინდიკატორები სრულად ვერ ასახავდნენ განათლების სფეროში არსებულ პრობლემებს, მათ შორის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას. მან ყურადღება გაამახვილა სამინისტროსგან ინფორმაციის მიღების სირთულეებზე და ხაზი გაუსვა მუშაობის პროცესში მენეჯმენტის ზედა რგოლების ჩართულობის აუცილებლობას. მოცემულ კომენტარზე პასუხად ანა კვერნაძემ კომენტარის ავტორს მოახსენა, რომ მთავრობის ადმინისტრაციამ მიიღო მათ მიერ წერილობითი ფორმით წარდგენილი კომენტარები და აღნიშნა, რომ მათი ნაწილი უკვე არის გათვალისწინებული, ნაწილი კი განსახილველად არის გადაგზავნილი სამინისტროში.

დევნილ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ თავმჯდომარემ, იულია ხარაშვილმა გამოთქვა წუხილი რეგიონებში მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ და ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული განსაკუთრებულ პრობლემას უქმნის მოსწავლე გოგონებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი დაეთანხმა კითხვის ავტორს და აღნიშნა, რომ სამინისტროს შემუშავებული აქვს გეგმა, რომლის თანახმადაც უახლოეს მომავალში გარემონტდება ყველა სკოლა სადაც ახლო წარსულში არ ჩატარებულა მსგავსი სამუშაოები.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენელმა - თამარ სირბილაძემ კომენტარი გააკეთა სკოლებში სანიტარული მდგომარეობის შესახებ. მისი თქმით ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ მაღალმთიან აჭარაში განახორციელა პროექტი სკოლებში სანიტარული და ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ და მოუწოდა სამინისტროს პროექტის ფარგლებში შემუშავებული მიდგომების ინსტიტუციონალიზაციისკენ. აღნიშნულზე პასუხად, კახა ხანდოლიშვილმა განაცხადა, რომ სკოლებში წყლის მიწოდებისა და სანიტარული მდგომარეობის საკითხი დანამდვილებით წარმოადგენს პრობლემას და რომ სამინისტრო მოცემული მიმართულებით აქტიურად მუშაობს.

„განათლება ყველასათვის“ წარმომადგენელის შეკითხვა შეეხო სამოქალაქო განათლების საგანში გენდერული საკითხის გათვალისწინების აუცილებლობას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი დაეთანხმა კომენტარის ავტორს და აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობის საკითხი შესულია სამოქალაქო განათლების კურიკულუმში. მხარეები შეთანხმდნენ ითანამშრომლონ ორგანიზაციის მიერ მომზადებული რეკომენდაციების განხილვისა და გათვალისწინების მიზნით.

11:16 - მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა

ნინო ჯანელიძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ნინო ჯანელიძემ დაინტერესებულ პირებს გააცნო ნაციონალურ მიზნებსა და ამოცანებთან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული სტრატეგიების კავშირი. მან აღნიშნა, რომ ნაციონალიზებულია 4 ამოცანა და დეტალურად განმარტა თუ, რომელ სტრატეგიებს უკავშირდება ისინი. სამინისტროს წარმომადგენელმა დეტალურად ისაუბრა თუ კონკრეტულად რა ქმედებების განხორციელება არის დაგეგმილი თითოეული ამოცანის შესასრულებლად.

11:26 - მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის

ქეთევან გოგინაშვილი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა 2015 წლიდან დღემდე მიღწეულ პროგრესსა და დასახულ მიზნებზე. მან დეტალურად განიხილა რამდენიმე ამოცანა, რომლებიც ჯერ კიდევ ათასწლეულის განვითარების მიზნებში იყო გათვალისწინებული. ქეთევან გოგინაშვილმა არსებული მდგომარეობის, გადადგმული და შემდგომი ნაბიჯების შესახებ ისაუბრა ისეთ საკითხებზე, როგორც არის: დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, შიდსის, ტუბერკულოზის და გადამდები დაავადებები შემცირება, არა გადადები დაავადებები, ჯანმრთელობის, ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა.

11:45 - კითხვა-პასუხი/დისკუსია

სამინისტროთა წარმომადგენლების გამოსვლების დასრულების შემდგომ დისკუსიის ეტაპი გახსნა ანა კვერნაძემ. მან კიდევ ერთხელ შეახსენა უწყებებს მათი ჩართულობის მნიშვნელობაზე და ხაზი გაუსვა, რომ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება არ არის ცალკე მდგომი პროცესი და რომ, მიზნები საქართველოს მთავრობის პოლიტიკისა და რეფორმების განუყოფელი ნაწილია. ანა კვერნაძემ გააჟღერა, რომ წელს ოქტომბერში იგეგმება ინდიკატორ-პროგრეს ანგარიშის გამოცემა.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენელმა თამარ სირბილაძემ აღნიშნა, რომ წარსულში საუბარი იყო შიდასისა და ჰეპატიტის ელიმინაციაზე, რაც ზედმეტად ამბიციურ მიზანს წარმოადგენდა. მან ხაზი გაუსვა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა წარმოადგენს ჯანდაცვის სფეროში გახორციელებულ ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროგრამას, თუმცა ისაუბრა მის ხარვეზებზე, მათ შორის მედიკამენტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ანა კვერნაძე დაეთანხმა კომენტარის ავტორს და აღნიშნა, რომ პროგრამის ბიუჯეტი არ არის საკმარისად მაღალი და პირველი მიმართვის შემდეგ მოსახლეობას საკუთარი ჯიბიდან უწევს თანხის გადახდა. მან აღნიშნა, რომ მოცემული ეტაპისთვის ჯანდაცვის სამინისტრო ინდიკატორებს უკავშირდება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს (BDD) და შეფასდება თუ რა პროგრესს მიაღწია სამინისტრომ ამ მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში. ანა კვერნაძემ ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაცია მივიტანოთ გადაწყვეტილების მიმღებებთან და ვაჩვენოთ პროგრესი შემდეგ შეხვედრებზე.

ღია საზოგადოება საქართველოს წარმომადგენელმა ანანო ცინცაბაძემ ისაუბრა მდგრადი განვითარების მიზნების დაკავშირების აუცილებლობაზე ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმასთან. მან ასევე ისაუბრა შრომის ინსპექტირების მონაცემთა და უსახლკაროთა აღრიცხვის სტატისტიკის აუცილებლობაზე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი პაატა ჟორჯოლიანი დაეთანხმა კომენტარის ავტორს და დაადასტურა რომ საკითხი არის კომპლექსური. მან დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ უახლოეს მომავალში ამოქმედდება შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონი, რომელიც ნაწილობრივ აღმოფხვრის შრომის ინსპექტირებისა და მისი მონაცემების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ ხარვეზებს.

ასოციაცია „ჰერა 21“-ის წარმომადგენელმა, ნინო წულისკირმა ისაუბრა დედათა და ბავშვთა სტრატეგიაზე, კერძოდ ოჯახის დაგეგმვის სერვისების ხელმისაწვდომობასა და არა უსაფრთხო აბორტის შემცირების აუცილებლობაზე. მან ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია მოცემულ საკითხთა პროგრამაში შეყვანა, ფინანსების გამოყოფა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით ყველა აღნიშნული საკითხი შეტანილია სტრატეგიაში. საუბარი შეეხო ასევე, ორსული ქალების ხელმისაწვდომობის პრობლემას ამბულატორიულ მომსახურებაზე, ექთნებისა და ბებია ქალების ინსტიტუტის მნიშვნელობასა და დისტანციური განათლებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვის აუცილებლობას ექიმებისთვის.

დევნილ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ თავმჯდომარემ, იულია ხარაშვილმა ხაზი გაუსვა დევნილთა საკითხების ნაციონალიზაციის აუცილებლობასა და დევნილთა მიწაზე

ხელმისაწვდომობისა და არარეგისტრირებული მიწების პრობლემას. სამინისტროს წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პრობლემის არსებობა და ხაზი გაუსვა რომ სამინისტრო მუშაობს აღნიშნულ საკითხზე. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელმა იოკო აკასაკამ მიმართა კომენტარის ავტორს, გამოთქვა მზადყოფნა თანამშრომლობაზე და აღნიშნა, რომ კომისარიატი და სამინისტრო მოხარულნი იქნებოდნენ მიეღოთ დეტალური ინფორმაცია დასმული პრობლემების შესახებ.

დისკუსიის ეტაპზე საუბარი ასევე შეეხო ისეთ საკითხებს, როგორც არის ჯანსაღი ცხოვრების სტილი, სპორტისა და ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობა ჯანდაცვის სფეროში, სახელოვნებო და კულტურისკენ მიმართული განათლების როლი. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) წარმომადგენელმა ნუცა ქაშაკაშვილმა ისაუბრა დეკრეტული თანხების ანაზღაურებისა და მათი ოდენობის შესახებ საკითხების მდგრადი განვითარების მიზნების ჭრილში განხილვის აუცილებლობაზე. პროფკავშირის წარმომადგენელმა, გიორგი ჭანტურიძემ ყურადღება გაამახვილა შრომის ნაყოფიერების გაზრდის აუცილებლობაზე სოფლის მეურნეობის დარგში და სწავლის ხარისხის გაზრდის მნიშვნელობაზე უმაღლეს და პროფესიულ დაწესებულებებში.

12:30 - შეჯამება

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ წარმომადგენელმა, პროექტის „მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის ეროვნულ დონეზე ინტეგრირების ხელშეწყობა“ კოორდინატორმა, თამარ იაკობიძემ შეჯამების სახით კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში ინსტიტუციური გაძლიერების მნიშვნელობას, ისაუბრა სამუშაო ჯგუფთა ახალ ფორმატზე და აღნიშნა, რომ ის უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას და მოიცავს ყველა სექტორს. თამარ იაკობიძემ მოუწოდა არასახელმწიფო სექტორის წარმომადგენლებს პროცესში აქტიური ჩართულობისკენ და აღნიშნა, რომ მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში კერძო სექტორის ჩართულობა იქნება ბიძგი იმისთვის, რომ საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი იყოს მეტად ინკლუზიური.

ანა კვერნაძემ კიდევ ერთხელ დააფიქსირა მთავრობის ადმინისტრაციის მზადყოფნა შენიშვნებისა და კომენტარების მიღებასა და განხილვაზე და შეახსენა დაინტერესებულ პირებს, რომ ყველა გაერთიანებული ჯგუფის მუშაობის განრიგი მათ მომდევნო კვირაში გაეგზავნებოდათ.



დანართი #1

მონაწილეების სია

კახა ხანდოლიშვილი	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი
თამაზ ბახტაძე	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	პროფესიული განათლების დეპარტამენტის პოლიტ.სამმართველოს უფროსი
ლევან წერეთიანი	საქსტატი	მეთოდოლ და ხარისხის მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი
ნათია კაციაშვილი	BEC	აღმასრ.დირექტორი
ნუცა ქაშაკაშვილი	EMC	იურისტი
სოფია ქამუშაძე	ჩეხეთის საელჩო	კოორდინატორი
იულია ხარაშვილი	ქალთა ასოციაცია თანადგომა	თავმჯდომარე
დავით ადვაძე	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	მდგრადი განვითარების სამმართველო
მეგი გამტკიცელაშვილი	CENN	პროექტის ოფიცერი
თეა გვარამაძე	MOH	სამმართველოს უფროსი

პაატა ჟორჟოლიანი	MOH	დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ალექსანდრე არაბული	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სტატისტიკისა და ანალიტიკური სამმართველოს უფროსი
ნინო ჯანელიძე	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მდგრადი განვითარების სამმართველოს სპეციალისტი
ნინო გოხელაშვილი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მდგრადი განვითარების სამმართველოს უფროსი
მარიამ ჯაჯანიძე	ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო	მრჩეველი
ანანო ცინციბაძე	OSGF	პროექტის კოორდინატორი
ნინო ესაკია	EY Georgia	საჯარო და სახელმწიფო სექტორის პრაქტიკის ხელმძღვანელი
ქეთი გოგინაშვილი	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	პოლიტიკის სამმართველოს უფროსი
თამარ სირბილაძე	USAID	სოც. განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი
გეგი მატარაძე	UNFPA	პროგრამის ანალიტიკოსი
ნინო ფარცხალაძე	UNDP/IDFI Project	მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტი
ნინო ჯანაშია	UNDP/IDFI Project	დამოუკიდებელი კონსულტანტი

ნათია წიქარაძე	AOG	
გიორგი ბობლიაშვილი	AOG	მრჩეველი
მაია გიორბელიძე	UNDP	მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი
დავით მუშკუდიანი	UN	გაეროს საკოორდინაციო საქმეთა ხელმძღვანელი
გიორგი ბადურაშვილი	UNHCR	ნაციონალური პროგრამის ოფიცერი
Yoko Akasaka	UNHCR	Deputy Regional Representative in the South Caucasus
ბესიკ ანდრიაძე	UNHCR	snr.assistant
ქეთევან ჭელიძე	თანადგომა	პროექტის მენეჯერი
მარიკა ჯობავა	UN WOMEN	GE Comission project Associate
ნინო წულუესკირი	HERA XII	დირექტორი
ელინა გედენიძე	კულტურისა და სპორტის სამინისტრო	უფროსი სპეციალისტი

თამარ წულუკიძე	კულტურისა და სპორტის სამინისტრო	სტრატეგიული დაგეგმვის და მონიტორინგის სამსახურის უფროსი
Laila Gad	UNICEF	UNICEF Representative
Gottfried Hanne	UNICEF	Deputy Representative
გიორგი ჭანტურიძე	პროფკავშირების გაერთიანება	ეკონომიკური ანალიტიკოსი
ირინე ინასარიძე	ანიკა	დირექტორი
გიორგი ჭანტურია	GCEFA	პროექტების კოორდინატორი
რევაზ აფხაზავა	GCEFA	პოლიტიკის ადვოკატორების ოფიცერი
ლაშა მკურნალიძე	GCEFA	
მაცაცო ტეფნაძე	MRDI	პოლიტიკის სამმართველოს უფროსი
ლინა ჯიქია	Amcham	მთავარი იურისტი